

*წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის  
ოქმი №15*

*ქ. თბილისი*

*03.10.2008 წ.*

*დღის წესრიგი:*

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აიდაძოს (აშშ) უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შექმნის შესახებ.
2. აკადემიური პერსონალის მინიმალური პედაგოგიური დატვირთვის შესახებ.
3. იურიდიულ ფაკულტეტზე სრული და ასოცირებული პროფესორის შრომის ანაზღაურების ოდენობის დადგენის შესახებ.
4. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის დამტკიცების შესახებ.

*სხდომას ესწრებოდა:*

*წარმომადგენლობითი საბჭო – 19 წევრი;*

*თსუ-ს რექტორი, პროფ. გიორგი ხუბუა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გულნაზი გალდავა და ფაკულტეტების დეკანები.*

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 14 ივლისის №103 დადგენილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აიდაძოს (აშშ) უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შექმნის შესახებ.

*აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა:*

*კენჭისყრის შედეგი:*

*მომხრე – 19;*

*წინააღმდეგი – 0;*

*თავი შეიკავა – 0;*

გადაწყვეტილება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

*მიღებული გადაწყვეტილება:*

დამტკიცდეს თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 14 ივლისის №103 დადგენილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აიდაპოს (აშშ) უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შექმნის შესახებ.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 08 სექტემბრის №122 დადგენილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მინიმალური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა:

*კენჭისყრის შედეგი:*

*მომხრე – 19;*

*წინააღმდეგი – 0;*

*თავი შეიკავა – 0;*

გადაწყვეტილება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

*მიღებული გადაწყვეტილება:*

დამტკიცდეს თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 08 სექტემბრის №122 დადგენილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მინიმალური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ წარმოდგენილი სახით.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 23 სექტემბრის №135 დადგენილება იურიდიულ ფაკულტეტზე სრული და ასოცირებული პროფესორის შრომის ანაზღაურების ოდენობის დადგენის შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წინაშე სიტყვით გამოვიდა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი ბურდული, რომელმაც ისაუბრა ფაკულტეტზე შრომითი ანაზღაურების სისტემის შემოღების მიზანშეწონილობასა და ეფექტიანობაზე.

გაიმართა დისკუსია აღნიშნულ საკითხზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: გ. გოგსაძემ, ე. მექვაბიშვილმა, დ. მელიქიშვილმა, კ. გელაშვილმა, ასევე თსუ-ს რექტორმა გიორგი ხუბუამ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გულნაზი გალდავამ.

გამოთქმული მოსაზრებების შედეგად, მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ წარმოდგენილი შრომის ანაზღაურების სისტემა მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია და იგი უნდა იქნას მხარდაჭერილი.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა:



კენჭისყრის შედეგი:

მომხრე – 19;

წინააღმდეგი – 0;

თავი შეიკავა – 0;

გადაწყვეტილება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 23 სექტემბრის №135 დადგენილება იურიდიულ ფაკულტეტზე სრული და ასოცირებული პროფესორის შრომის ანაზღაურების ოდენობის დადგენის შესახებ წარმოდგენილი სახით.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 30 სექტემბრის №141 დადგენილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ.

გაიმართა დისკუსია აღნიშნულ საკითხზე. გამოითქვა გარკვეული შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ დოკუმენტთან დაკავშირებით. კერძოდ, ის, რომ არ არის გათვალისწინებული საარჩევნო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი, რაც უნდა დაემატოს დოკუმენტს მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის სახით: “საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. საარჩევნო კომისიას გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი”, ხოლო მე-4 მუხლი - არჩევნების ჩატარება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: “1. აკადემიური საბჭოს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრსა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებს.

2. აკადემიურ საბჭოში არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგის მქონე იმდენი კანდიდატი, რაც დადგენილია რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაბამისი ფაკულტეტისათვის.
3. აკადემიური საბჭო ცნობს არჩეული წევრის უფლებამოსილებას.
4. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი, გარდა ასისტენტ-პროფესორისა”.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კენჭისყრა:

*კენჭისყრის შედეგი:*

*მომხრე – 19;*

*წინააღმდეგი – 0;*

*თავი შეიკავა – 0;*

გადაწყვეტილება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

*მიღებული გადაწყვეტილება:*

დამტკიცდეს თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 30 სექტემბრის №141 დადგენილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წევრთა არჩევის წესის შესახებ გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი

სხდომის მდივანი



კახაბერ ლორია

ავთანდილ აბდუშელიშვილი